პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТИ ГАМОЙДИС 1920 ВЕЛИС 3 ИВНИСИДАН

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 10 (20051) ოთხშაბათი, 13 იანვარი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვისა და მ. იაკეშის შეხვედრა

11 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. იაკეშს.

შეეხო რა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის დეკემბრის პლენუმის შუშაობის შედეგებს, მ. იაკეშმა აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიას დაუდგა სოციალისტური მშენებლობის ახალი პასუხსაგები პერიოდი, რომელიც უკავშირდება გარდაქმნასა და სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას. ეს მოითხოვს პარტიის მთელი მუშაობის გაკეთილშობილებას.

მთავარი ამოცანაა დავუკავშიროთ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე შემუშავებული გარდაქმნის, დემოკრატიზაციის პოლიტიკა ცხოვრებას, წარგმართოთ იგი რეალური პოლიტიკის კალაპოტით.

მ. ს. გორბაჩოვმა დიდად შეაფასა ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა მისწრაფება განაახლონ სოციალგადებიანი ცხოვრების ნორმები, დაიჭირონ მოძმე ჩეხოსლოვაკიის წინაშე მდგომი აქტუალური პრობლემების გადაჭრა. ღონისძიებანი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ხორციელდება, ჩვენს ქვეყანაში ცხოვენ ინტერესსა და გაგებას იწვევს.

მ. ს. გორბაჩოვმა და მ. იაკეშმა აღნიშნეს, რომ გარდაქმნების მასშტაბისა და ტემპის, დასახული მიზნების მიღწევის ფორმებისა და მეთოდების სპეციფიკის მიუხედავად, გარდაქმნის პროცესების საერთო მიმართულებანი საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიაში ემთხვევა ერთმანეთს. ეს სახავს ხელშეწყობ პირობებს, რათა კვლავაც ყოველმხრივ განვითარდეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობა ეკონომიკის, იდეოლოგიის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუშაობის გამოცდილების გაზიარებისას მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ პარტიისა და ქვეყანას დაუდგა გარდაქმნის ახალი ეტაპი. იმ პირობებში, როცა ეს ეხება მილიონობით ადამიანის ინტერესებს, როცა ამობრძოდა მთელი საზოგადოება, პარტიის მუშაობა სხვა სიბრტყეში გადადის. ასრულებს რა საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის როლს, პარტია მთელ ყურადღებას მიაპყრობს საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის შემუშავებას, საკადრო პოლიტიკის განსაზღვრას, იდეოლოგიურ მუშაობას.

ახლა მიმდინარეობს პარტიული კომიტეტების პლენუმები და კომუნისტთა კრებები, განიხილავენ გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის მუშაობის შესახებ არჩევითი ორგანოების ანგარიშებს. მეტ წილ ადგილებში ეს კამპანია მიმდინარეობს გულახდილობის, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით. მწვავედ დგება საკითხები, რომ საჭიროა დაეუფლოთ ხელმძღვანელობის პოლიტიკურ მეთოდებს, პარტიული ორგანოები გავათავისუფლოთ მათთვის არადამახასიათებელი წმინდა სამეურნეო, სამმართველო ფუნქციებისაგან.

მ. ს. გორბაჩოვმა ილაპარაკა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მზადებისათვის მუშაობაზე.

საუბრის დროს განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები. მ. იაკეშმა დიდი შეფასება მისცა საშუალო და ნაკლებ სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების მნიშვნელობას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიელი ხალხი მიესალმა ამ ხელშეკრულებას, როგორც გონებისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამარჯვებას.

ითქვა, რომ გასული წლის პოლიტიკურ-დიპლომატიურმა შედეგებმა კარგი წანამძღვრები შექმნა, რათა ახალი, 1988 წელი აღინიშნოს არსებითი პროგრესით ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ევროპაში ბირთვული იარაღის, აგრეთვე ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას, ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის პრობლემების შემდგომ გადაჭრას. დაადასტურეს, რომ ორივე პარტიასა და ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეკლავიც აქტიურად იმოქმედოს ეარშაველის ხელშეკრულების მონაწილე მოკავშირე სახელმწიფოებთან, ყველა სხვა სოციალისტურ ქვეყნებასთან ერთად, მიაღწიონ ბრძოლული საფრთხის თავიდან აცილებას, განიარაღებას, საერთაშორისო უშიშროების ყოველსმომცველი სისტემის შექმნას.

შეხვედრამ გულთადობის, მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

(საკდსი).

შეხვედრის დროს.

საკდსი-საქინფორმის ტელეფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ტაშკენტი. 12 იანვარი. (საკდსი). დღეს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა ი. ბ. უსმანხოჯაევი გაათავისუფლა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია რ. ნ. ნიშანოვი, რომელიც უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

▼ ▼

დამკვრელურად

სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „ალანში“ ახალი სამეურნეო წლის ყოველი დღე დიდი ნაყოფიერებით და კოდეგებმა კარგი წანამძღვრები შექმნა, რათა ახალი, 1988 წელი აღინიშნოს არსებითი პროგრესით ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ევროპაში ბირთვული იარაღის, აგრეთვე ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას, ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის პრობლემების შემდგომ გადაჭრას. დაადასტურეს, რომ ორივე პარტიასა და ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეკლავიც აქტიურად იმოქმედოს ეარშაველის ხელშეკრულების მონაწილე მოკავშირე სახელმწიფოებთან, ყველა სხვა სოციალისტურ ქვეყნებასთან ერთად, მიაღწიონ ბრძოლული საფრთხის თავიდან აცილებას, განიარაღებას, საერთაშორისო უშიშროების ყოველსმომცველი სისტემის შექმნას.

შეხვედრამ გულთადობის, მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

თადარიგს ამთავითვე იჭერენ

ლანინუთის რაიონის სოფელ ეწრის კოლმეურნეებმა იჩქარეს და პირველი თოვლის მოსვლამდე დაამთავრეს ჩაის, ციტრუსების, ხეხილის ახალი ბაღების გაშენების წლიური დავალებები.

არც ნარინჯოვანთა მეჩხერი ბაღებისთვის მოუკლიათ მზრუნველი ხელი, 500 ძირი სტანდარტული ნერგი გაახარეს და მეჩხერიანობაც ძლიერ შეამცირეს. უქმოვი ფარფლით შეფუთეს 8 ჰექტარი მანდარინის ახალგაზრდა ბაღი.

ეწრელები აქედანვე ზრუნავენ ახალი წლის უხვი მოსავლისათვის.

▼ ▼

აქტიურობენ დოკერები

ბათუმის სატვირთო ნავსადგურმა ჯერ კიდევ 17 ნოემბერს გაანაღდა 1987 წლის გეგმა. დოკერებმა გეგმის გადაჭარბებით 150 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი დაამუშავეს, რის შედეგადაც 300 ათასი მანეთი მოგება მიიღეს. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 118 პროცენტით. ენთუზიაზმით დაიწყეს ახალი წელიც. პირველ დღეებში რეიდზე დადგა სამი გემი. მეზღვაურებ და ნავსადგურის მუშაკები შეთანხმდნენ კომპლექსურად და ვადამდე დაამუშაონ ხომალდები. ერთსულოვნებას შედეგიც კარგი მოჰყვა. „ნეკტარეულოვნ-22“ რეისში გაუშვეს დაგეგმილზე 25 საათით ადრე, გემი „სორმოვსკი“ — 27 საათით ადრე. ასეთი ორნინიძეებმა შედეგად მიღებული დიდი ეკონომიური ეფექტი.

▼ ▼

მოსკოვიდან გაემგზავრა

12 იანვარს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. იაკეში მოსკოვიდან გაემგზავრა. იგი ჩვენს ქვეყანაში სამუშაო ვიზიტად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გარდაქმნის ლაშქარი

ნინო თოდუა ხუთი წელია სამშობლო სკოლა დამთავრა. მოწონებულ მეჩხიერ კი სოფელში პირველივე წლის შეღებვის მიხედვით აკურთხეს. მას შემდეგ მოწონებულა. მეჩხიე ქალიშვილმა თავიდანვე ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა დაისახა მიზნად. ნინოს მოკრეფილი ჩაის ფოთოლი ყოველთვის მაღალხარისხოვანია. მისი ცალკე გადამუშავება რომ შეეძლებოდეს, ალბათ უმაღლესი ხარისხის საუცხო სურნელოვანს ჩაის მიიღებდნენ.

ბევრს გაუკვირდებოდა და იკითხავდა — როგორაო. განსაკუთრებულ არაფერს აკეთებს მეჩხიე ქალიშვილი, ჩაის ბუჩქებს აკრეწავს ბუსტად დაცვით უელის. კრეფის წესებსაც ზედმიწევნით იცავს. იგი ამას ნედლეულის რაოდენობისათვის, მეტი ანაზღაურებისა და თავგამოჩენისათვის კი არ აკეთებს, პირიქით, მისთვის მთავარი ნედლეულისა და დამზადებული ჩაის ხარისხია.

— კი მაგრამ, შრომის საზღაური? — ეკითხეთ ნინოს. მან გაიღიმა და თქვა:

—ხარისხისათვის ხომ საკმაო თანხა ემატება? გაბა ეს არ კმარა, რომ ანაზღაურებაც მეტი იყოს? — კითხვაზე კითხვითვე გვიპასუხა და ჩვენც დავეთანხმენ. იგი არც ჩინ-მედლებისათვის მუშაობს.

ერთადერთი, რითაც ამ ხუთ წელიწადში გამრჯე ქალიშვილი წარმოჩინდა, ის იყო, რომ შარშანდელ გაზეთხუელზე თანასოფლელებმა სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. როცა მისი კანდიდატურა დასახელეს, ნინოს უთქვამს, ჯერ საამისო რა გამეკეთებო.

ნინო შრომასთან ერთად ბევრს კითხულობს. ამას წინათ წიგნში ამოუკითხავს, უცხოელ ალეკ ინგირის მიდამოები ჩაის ბუჩქის გასამენდლად დაუწერია. ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე, როცა ისოს იყო საკოლმეურნეო წყობილება მკვიდრდებოდა, ინგლისელი დოქტორი მანნ ხუგდიდს, რაიონს სწვევია, ინგირის მიწა-წყალიც დაუთვალიერებია და მიწის სინჯიც აუღია. არ მოსწონებია და მართლაც დაბეჯითებით უთქვამს, აქაურ მიწაზე ჩაი არ იხარებსო. ინგირიელ ქალშვილს უკვირს, დოქტორი კაცი როგორ მეცდაო. ახლა ინგირი ერთ-ერთი ღონიერი სოფელია იმიტომაც, რომ ჩაის ბუჩქმა ერთობ კარგად იხარა. ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად 5 ათას ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის ნედლეულს აბარებს, ამავე სოფლის მრავალდარგოვანი სტალინის სახელობის კოლმეურნეობა კი 4 ათას ტონაზე მეტს.

— წელიწადში ცხრა ათასი კილოგრამი ჰექტარზე განა ცოტაა? — ამბობს ნინო. — შარშან ინგირელმა კოლმეურნეებმა 4 ათასი ტონის ნაცვლად 4.300 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და რაიონში ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაზე აღიე უპატაჯეს სამშობლოს საოფიციალო წლის ვალდებულების შესრულება. ახლა ხარისხს არ იკითხავთ? დამზადებული ნედლეულის 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა. უფრო მეტიც, შეიძლებოდა ყოფილიყო, ყველს რომ გულთან ახლოს მიეტანა ჩვენი ჩაის ხარისხის გაუჯობესების საქმე.

სოფელს მარტო ბუნება როდი ალამაზებს, იგი უფრო ლამაზი და მიმზიდველია მისი გამამთა შორის საუკეთესოა ის, ვინ, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათ ... ...

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება

კოლმეურნეობის ეს სანიმუშო წესდება განსაზღვრავს მეურნეობრობის ახალ პირობებში კოლმეურნეობის საქმიანობის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს, ითვალისწინებს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განმტკიცებას, ადგენს კოლმეურნეობის წევრთა უფლება-მოვალეობებს, არეგულირებს მათს შრომითს და განაწილებითს ურთიერთობას, უზრუნველყოფს მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებას, იძლევა კოლმეურნეობის უფლებების გარანტიას, ავითარებს შიდასაკოლმეურნეო დემოკრატიასა და საჯაროობას.

საკოლმეურნეო წყობილება საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების განუყოფელი ნაწილია; ეს არის კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ისტორიულად შემოწმებული და გლეხობის თავისებურებათა და ინტერესთა შესაბამისი გზა, რომელიც ვ. ი. ლენინმა დასაბა.

წარმოების საშუალებათა სოციალისტურმა საკუთრებამ, მეურნეობის კოლექტიური გაძღოლის უპირატესობებმა, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ყოველდღიურმა ზრუნვამ და დახმარებამ საშუალება მოგვცა გაგვეხორციელებინა სოფლად უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. კოლმეურნე გლეხობის თავდადებული შრომის, მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის შეცდენილის მეთხებით კოლმეურნეობები გადაიქცა მსხვილ, ტექნიკურად აღჭურვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად. ამ საფუძველზე განვხორციელდ იზრდება მათი საზოგადოებრივი დოვლათი, მაღლდება კოლმეურნეთა ცხოვრების დონე, თანდათან ქრება განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის.

კოლმეურნეობები, როგორც სოციალისტური მეურნეობის კოოპერაციული ფორმა, ერთიანი საბალონ-სამეურნეო კომპლექსის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია, საფუძვლი შეესაბამება სოფლად საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებისა და წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის ამოცანების, საშუალებას იძლევა სწორად ეხამებოდეს კოლმეურნეთა პირადი ინტერესები კოლექტიურ და საერთო-სახალხო ინტერესებს.

კოლმეურნეობა გლეხობისათვის კომუნიზმის სკოლაა.

I. კოლმეურნეობის მიზნები და ამოცანები

1. რესპუბლიკის _____

ოლქის (მხარის) _____

ოკრუგის _____

რაიონის _____

კოლმეურნეობა _____

(კოლმეურნეობის დასახელება) არის კოოპერაციული ორგანიზაცია გლეხებისა, რომლებიც ნებაყოფლობით გაერთიანდნენ, რათა წარმოების საზოგადოებრივი საშუალებებისა და კოოპერატიული შრომის საფუძველზე ერთად გაუძღვნენ მსგავლ სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

კოლმეურნეობა სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოა, რომელიც მოქმედებს სრული დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის პირობებში, მეურნეობრობის დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე სახელმწიფო ხელმძღვანელობასთან შეხამებით.

2. კოლმეურნეობის ძირითადი ამოცანებია:

ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდეს და ავითარებდეს საზოგადოებრივ მეურნეობას, განუხრელად ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებასა და წაროების ეფექტიანობას;

განავითარებს ინტენსიური ფაქტორების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების ათვისების გზით ზრდიდეს სუკეთესო ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვას;

ეფექტიანად იყენებდეს მთელ საწარმოო-ეკონომიკურ პოტენციალს, მისი სტრუქტურის სრულყოფის, სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის გზით;

პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით აბორიკელებდეს კოლმეურნეთა კომუნისტურ და ინტერნაციონალურ აღზრდას, ყოველმხრივ უწყობდეს ხელს იმას, რომ ჩაენერგოს მათ დიდი საზოგადოებრივი აქტიურობა, ყაირათიანი დამოკიდებულება მიწისა და წარმოების სხვა საშუალებებისადმი, ჩამოუყალიბდეთ მუშაკებს ისეთი თვისებები, როგორიც არის კოლექტივიზმი და მტკიცე შრომის დისციპლინა, მუშაობაში ყაირათიანობა და გეგმიერიანობა, კიდევ უფრო გამარჯვებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას;

უფრო სრულად აკმაყოფილებდეს კოლმეურნეთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს, უუმჯობესებდეს მათი შრომისა და ყოფის პირობებს, უზრუნველყოფდეს სოფლის სოციალურ გარდაქმნას;

იცავდეს და სრულყოფდეს საკოლმეურნეო თვითმმართველობის პრინციპებს, ყოველნაირად ავითარებდეს საკოლმეურნეო დემოკრატიას, კმნიდეს საპირო პირობებს კოლმეურნეობის წევრთა წესდებით გათვალისწინებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სრული რეალიზაციისა და დაცვისათვის.

II. კოლმეურნეობის წევრობა, კოლმეურნეობის წევრთა უფლებანი და მოვალეობანი

3. კოლმეურნეობის წევრები შეიძლება _ იყვნენ მოქალაქენი, რომლებსაც 16 წელი შეუსრულდათ და გამოთქვეს სურვილი თავისი შრომით მონაწილეობა მიიღონ კოლეკურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში.

კოლმეურნეობის წევრად იღებს კოლმეურნეთა საერთო კრება კოლმეურნეობის გამგეობის წარდგენებთა და იმ პირის თანდასწრებით, ვინც განცხადება შეიტანა.

განცხადებას კოლმეურნეობის წევრად მიღების შესახებ კოლმეურნეობის გამგეობა განიხილავს მისი შემოტანიდან ერთ თვეში. ის პირი, ვინც განცხადება შეიტანა კოლმეურნეობის წევრად მიღების შესახებ, საერთო კრების გადაწყვეტილებამდე საგზალოს კოლმეურნეობის წევრის უფლებით კოლმეურნეობის გამგეობის იმ გადაწყვეტილების მომენტიდან, რომელიც რეკომენდაციას აძლევს საერთო კრებას მიიღოს იგი კოლმეურნეობის წევრად.

კოლმეურნეობის თითოეულ წევრზე ადგენენ ერთიანი ნიმუშის „კოლმეურნის შრომის წიგნაკს“.

4. კოლმეურნეობის წევრს უფლება აქვს:

კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მიიღოს სამუშაო მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი ანაზღაურებთ, ამასთან უფლება აქვს აირჩიოს პროფესია, საქმიანობისა და მუშაობის სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და კოლმეურნეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;

ისვენებდეს, რაც უზრუნველყოფილია დასვენების დღეებისა და ყოველწლიური ფასიანი შვებულების მიცემით;

მონაწილეობდეს კოლმეურნეობის საქმეთა მართვაში, აირჩიოს და აირჩეულ იქნეს მისი მართვის ორგანოებში; შეაქონდეს წინადადებანი კოლმეურნეობის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, გამგეობის ორგანოების, სარეციზო კომისიისა და თანამდებობის პირთა მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის;

იღებდეს კოლმეურნეობისაგან დამბარების საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებასა და სპეციალობის შეძენაში.

სარგებლობდეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთით დამბარმე მეურნეობისათვის, საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო შენობების ასაგებად, აგრეთვე საკოლმეურნეო სათბებითა და სათოვრეზით, საზოგადოებრივი მუშა პირუტყვით, შეკანონებული საშეალებებითა და ტრანსპორტით პირადი საჭიროებებისათვის, კოლმეურნეობაში დადგენილი წესის შესაბამისად;

სოციალური უზრუნველყოფის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კოლმეურნეობის მხრივ დახმარებით საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო შენობების მშენებლობისა და რემონტში, სათბობით უზრუნველყოფისა და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებაში იმ წესით, რომელიც კოლმეურნეთა საერთო კრებამ დაადგინა;

ინაზღაურებდეს ხარჯებს და იღებდეს სხვა კომპენსაციებს სამსახურებრივ მივლინებებთან და სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით;

მატერიალურად ინაზღაურებდეს სახლრობის თუ შრომით მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჯანრთელობის შერყვევის შედეგად მიყენებული ზარალს.

5. კოლმეურნეობის წევრი ვალდებულია:

იცავდეს კოლმეურნეობის წესდებასა და შინაგანაწესს, ასრულებდეს საერთო კრებების, კოლმეურნეობის გამგეობის, ბრიგადების, ფერმებისა და სხვა საწარმოო ქვეგანაყოფების კრებებისა და საბჭოების დადგენილებებს;

კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივ მეურნეობაში და პასუხს აგებდეს თავისი მუშაობის შედეგებისათვის, იცავდეს შრომისა და საწარმოო დისციპლინას, შრომის დაცვის წესებს, ეფექტიანად მუშაობის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს, იმაღლებდეს კვალიფიკაციას;

განამტკიცებდეს სახელმწიფო და საკოლმეურნეო საკუთრებას, არ ურიგდებოდეს უყაირათობასა და უსულელურ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი დოვლათისადმი, რაციონალურად იყენებდეს საზოგადოებრივი საგრაბლობისა და საკარმიდამო ფონდის მიწებს, უფრთხილდებოდეს ბუნებას, იცავდეს მის სიმდიდრეებს.

6. კოლმეურნეობიდან დროებით წასული პირები კოლმეურნეობის წევრებად რჩებიან, თუ:

გადიან ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურს;

არჩეული არიან არჩევითს თანამდებობაზე პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებში;

სწავლობენ წარმოებას მოწყვეტით;

იმყოფებიან სამუშაოდ სხვა კოლმეურნეობებში, სამეურნეოთშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ბრიგადელობასა თუ სხვა ანაზღაურებიან ადგილებში;

იმყოფებ ბასალებს, სათადარიგო ნაწილებს, ინსტრუმენტებსა და მცირეგაბარიტიან მოწყობილობებს, მცირე მექანიზაციის საშუალებებსა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის საგნებს საცალო ვაჭრობის საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებში ნაღდი ანგარიშსწორებით;

იყენებენ თავის საქმიანობაში მისი წევრების ქონებრივ ხელშეწყობას. ამასთან კოლეურნეებისათვის გაცემული შემოსავალი უნდა შეესაბამებოდეს კოლმეურნეობის საქმიანობისადმი მათი ქონებრივი ხელშეწყობის დონეს და განისაზღვრებოდეს კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე მოქალაქეებს მიჰყიდოს, გაუცვალოს, მისცეს იჯარით, გადასცეს, მისცეს უფასოდ დროებით სარგებლობისათვის ან სესხად შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობანი, ტექნიკა, ინვენტარი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე ჩამოწეროს ბალანსიდან, თუ ისინი გაცვეთილია ან მორალურად მოძველდა.

კოლმეურნეობის წევრები, როგლითაც ბრალი მიუძღვით საკოლმეურნეო ქონების დაღუპვაში, დანაკლისში, გაფუჭებასა თუ დაკარგვაში, აგრეთვე ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამუშაო პირუტყვის თვითნებურად გამოყენებაში ან სხვაგვარად მიაყენეს მატერიალური ზარალი, ვალდებული არიან აუნაზღაურონ იგი კოლმეურნეობას.

ნამდვილი ზარალის ოდენობას განსაზღვრავს კოლმეურნეობის გამგეობა. ზარალის გადახდევინება წარმოებს პირდაპირი, ნამდვილი ზარალის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კოლმეურნეობის წევრის საშუალო თვიური ხელფასისა, თუ ზარალი გამოწვეულია მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობის შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით. თუ ზარალი განზრახ არის მიყენებული, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კოლმეურნეობის წევრებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა სრული ან გადიდებული ოდენობით. ზარალის გადახდევინება წარმოებს სრული ოდენობით იმ შემთხვევებშიც, როცა იგი კოლმეურნეობას მიაყენა მთვრალმა წევრმა.

ზარალის გადახდევინება იმ ოდენობით, რომელიც არ აღემატება კოლმეურნის საშუალო თვიურ ხელფასს, ხდება კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით მისი ხელფასიდან დაკავების გზით. თუ კოლმეურნეობის წევრი არ ეთანხმება გამოქვითვას ან მის ოდენობას, შრომითი დავა მისი განცხადებით განსახილება ამ წესდების 35-ე პუნქტით გათვალისწინებული წესით. დანარჩენ შემთხვევებში ზარალს ანდევინებენ კოლმეურნეობის წევრის თანხმობით კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე ხელფასიდან დაკავებით, ხოლო ასეთი თანხმობის უქონლობისას — სასამართლო წესით.

III. მიწა და მისი გამოყენება

8. მიწა, რომელიც კოლმეურნეობას უკავია, მიჩენილი აქვს მის უვადო სარგებლობისათვის, არის სახელმწიფო საკუთრება — მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება და არ შეიძლება გადდეს ყიდვა-გაყიდვისა და იმ სხვა გარიგებათა ობიექტი, რომლებიც ირღვევენ მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

თითოეულ კოლმეურნეობას საბალონ დეპუტატთა რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აძლევს მიწით სარგებლობის უფლების სახელმწიფო აქტს, რომელიც აღნიშნულია კოლმეურნეობისათვის მიჩენილი მიწის ზომა და ზუსტი საზღვრები.

კოლმეურნეობისათვის მიჩენილი მიწები იყოფა საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებად და საკარმიდამო მიწებად. საკარმიდამო მიწები ნატურით გაიმიჯნება საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებისაგან.

იმ მიწების გარდა, რომლებიც კოლმეურნეობას ეძლევა უვადო სარგებლობისათვის, მას შეიძლება გამოეყოს მიწის ნაკვეთები დროებით სარგებლობისათვის სმობილაბარო მესაქონლეობისათვის, საკვებწარმოებისა და სხვა საჭიროებისათვის.

9. კოლმეურნეობა ვალდებულია:

ყველაზე სრულად და სწორად იყენებდეს მისთვის მიჩენილ მიწას, თანამიმდევრულად ასრულებდეს სამუშაოებს მისი ნაყოფიერების გაზრდისათვის, ეროზიისაგან ნიადაგის დაცვისათვის, დროულად აბორიკელებდეს მელიორაციის ღონისძიებებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში აქცევდეს გამოუყენებელ სავარგულს;

ზონალური პირობებისა და მეურნეობათა სპეციალიზაციის შესაბამისად იყენებდეს მიწათმოქმედების მეცნიერული ღირებულების ბუნებრივი და სამეურნეო ობიექტები და დადგენილი წესით შეიტანოს წინადადებანი მათი ბუნებრივ თუ კულტურულ ძეგლებად გამოცხადების შესახებ დაცვის შესაბამისი რეჟიმით.

IV. კოლმეურნეობის საკუთრება

11. მიწის სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად კოლმეურნეობის ეკონომიკური საფუძველია მისი კოოპერაციული საკუთრება.

კუთვნილ ქონებაზე კოლმეურნეობის საკუთრების უფლებას კანონი იცავს.

კოლმეურნეობის საკუთრებას შეადგენს მისი კუთვნილი საზოგადოებრივი შენობები, ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლები, ტრაქტორები, კომბაინები და სხვა მანქანები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, სამუშაო და პროდუქტიული პირუტყვი. მრავალწლოვანი ნარგავები, სამელიორაციო ნაგებობანი, წარმოებული პროდუქცია, ფულადი სახსრები და კოლმეურნეობის სხვა ქონება.

კოლმეურნეობის საკუთრება, აგრეთვე, სამეურნეოთშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგროკომბინატებისა და სხვა გაერთიანებების ქონება, ამ ქონების შეკვნაში მისი მონაწილეობის შესაბამისად და მათი საქმიანობისაგან მიღებული მოგების ნაწილი.

12. თავისი საქმიანობის განხორციელებისა და საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის კოლმეურნეობა ქმნის, გეგმაზომიერად და ნაყოფიერად იყენებს და აუსებს ძირითად და სარეზერვო საწარმოო ფონდებს. ეს ფონდები განუყოფელია (მათი სახსრები არ უნდა განაწილდეს კოლმეურნეობის წევრებს შორის) და გამოიყენება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით.

განუყოფელია, აგრეთვე, არასაწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდებიც.

კოლმეურნეობა აწარმოებს საამორტიზაციო ანარიცხებს ძირითადი ფონდების სრული აღდგენისა და მათი კაპიტალური რემონტისათვის.

კოლმეურნეობის საბრუნავი სახსრები მის სრულ განკარგულებაშია და ჩამორთმევას არ ექვემდებარება. საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობა ანაზღაურდება კოლმეურნეობის მთელიანი შემოსავლისა და ბანკის კredიტის ხარჯზე.

საბრუნავი სახსრების ოდენობას ადგენს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება კოლმეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის დამტკიცების დროს.

13. კოლმეურნეობის ქონებისა და ფულადი სახსრების განკარგვის უფლება ეკუთვნის თვით კოლმეურნეობას — მის მართვის ორგანოებს. კოლმეურნეობა არ დაუშვებს სახსრების გამოყენების იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის მის საქმიანობასთან.

კოლმეურნეობას უფლება აქვს:

იიჯნებდეს მატერიალურ რესურსებს სანაითუმო ვაჭრობის წესით და ლიმიტებით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოოთან და ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, აგრეთვე იძენდეს ტექნიკურ საშუალებებს, ბასალებს, ნედლეულსა და მოწყობილობას სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან;

იძენდეს ბასალებს, სათადარიგო ნაწილებს, ინსტრუმენტებსა და მცირეგაბარიტიან მოწყობილობებს, მცირე მექანიზაციის საშუალებებსა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის საგნებს საცალო ვაჭრობის საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებში ნაღდი ანგარიშსწორებით;

V. კოლმეურნეობის საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობა

14. კოლმეურნეობის ძირითადი საქმიანობაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია.

კოლმეურნეობას შეუძლია შეაქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამზადებლისა და შენახვის, საშენ მასალათა მოპოვებისა და დამზადების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების საწარმოები, განაკეთაროს სხვა საქმიანობანი, ეფექტიანად გამოიყენოს ადგილობრივი საბუნებრივი და ეკონომიკური პირობები, ეფექტიანად ავსებდეს ერთმანეთს ეკონომიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული ღონისძიებებით.

15. კოლმეურნეობა თავის საქმიანობას ეწევა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების საფუძველზე, რომლებსაც დამოუკიდებლად შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე.

დაგეგმვის საწყისი მონაცემებია სახელმწიფოსათვის და სხვა არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების სამეურნეო ხელშეკრულებანი, ცენტრალიზებულად განსაზღვრებული მატერიალური რესურსების მიწოდების ოდენობა, საჭირო სამუშაოთა ლიმიტები, აგრეთვე გრძელვადიანი ეკონომიური ნორმატივები.

გეგმების შედგენისას კოლმეურნეობა ხელმძღვანელობს იმით, რომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი მეურნეობის გფფაროთოებული კვლაწარმოება და გაანავთარის კოლმეურნეებისა და მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა მოქალაქეების პირადი დამხმარე მეურნეობანი, შეარსულოს ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე, ყოველმხრივ გაზრდის მოლიანი შემოსავალი, როგორც წარმოების განვითარებისა და კოლმეურნეთა მატერიალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების მთავარი წყაროა.

კოლმეურნეობა თავის საწარმოო ქვეგანაყოფებს უწესებს სამეურნეოთაანარიცხებრივ დავალებებს ან ამყარებს მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად მეურნეობაში მიღებულ საგგმო მახვეხებელთა შესრულებას.

16. კოლმეურნეობას უფლება აქვს დამოუკიდებლად დაიწესოს იმ პროდუქციის ფასები, რომელსაც ყიდის საკუთარი სავაჭრო ქსელის მეშვეობით, საკოლმეურნეო ბაზარში, სამომხმარებლო კოოპერაციასა და სხვა ორგანიზაციებზე, გარდა მისი იმ ნაწილისა, რომელიც სადგება ხელშეკრულებებით სახელმწიფო შეკვეთის ხარჯზე დადგენილი შესაბამისი ფასებისა.

17. კოლმეურნეობას შეუძლია ნებაყოფლობით საწყისებზე მონაწილეობდეს სამეურნეოთაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგროსამრეწველო კომბინატების, აგროკომბინატებისა და სხვა გაერთიანებების საქმიანობაში, სარგებლობდეს ამ საწარმოთა და გაერთიანებათა პროდუქციითა და მომსახურებით.

18. კოლმეურნეობას შეუძლია კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით თავისი სახსრების ნაწილი გააერთიანოს აგროსამრეწველო კომპლექსის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა, საწარმოებისა და გაერთიანებების და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებთან, წილობრივ საწყისებზე საწარმოო, კულტურულ - საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, კეთილმოწყობისა და იმ სხვა ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია საკოლმეურნეო წარმოების განვითარება და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუჯობესება.

19. კოლმეურნეობა ხელშეკრულებებს უდებს სახელმწიფოო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობის, დამხმარე სამრეწველო წარმოებებისა და სარეწების პროდუქციის მიყიდვის, ტექნიკის, მასალების, პირუტყვისა და სხვა ქონების შესყიდვის სამეურნეოთაშორისო კოოპერაციის საფუძველზე ხამრეწველო საქმეთა წარმოების, მეცხიერული ნამუშევრების, საპროეტო-სამიები, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა სამუშაოთა შესრულების, მომსახურების გაწევისა და მიღების შესახებ, აგრეთვე ხელშეკრულებებს ედებს მოქალაქეებს და ამყარებს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომელიც მისი საქმიანობის მიზნებს შეესაბამება.

20. კოლმეურნეობას შეუძლია დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობაში, დაამყაროს და განავითაროს სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა ბულგარეთის სოციალისტურ ეკონომიკურ ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიებებთან და სხვა საწარმოებთან, აგრეთვე კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების საწარმოებთან და ფირმებთან. კოლმეურნეობას ეკისრება პასუხისმგებლობა ეკისრება თავისი სავალო-ეკონომიური ურთიერთობის შედეგებისა და ფირმებთან. კოლმეურნეობის ინვესტიციების ბალანსი ადგენ ბანკი.

21. კოლმეურნეობა სარგებლობს ეროვნული ეკონომიკის ერთიანი ფინანსური სისტემით, ინარჩუნებს ანგარიშსწორებისა და ფულადი სახსრების შენახვის ანგარიშებს, აწარმოებს ყველა საკასო და საანგარიშსწორებო ოპერაციას.

კოლმეურნეობის ანგარიშებიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა ან გაცემა სსრ კავშირის აგრომრეწვაბანკის დაწესებულებაში კოლმეურნეობის გამგეობის განკარგულებით წარმოებს.

კოლმეურნეობას შეუძლია ისარგებლოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი კredიტებით.

კოლმეურნეობის გამგეობის განკარგულება კოლმეურნეობის ანგარიშებიდან სახსრების გადარიცხვისა თუ გაცემის შესახებ, აგრეთვე კredიტების მიხედვით კოლმეურნეობის ვალდებულებანი ძალაშია მაშინ, თუ მათ ხელს აწერენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მთავარი ბუღალტერი.

22. კოლმეურნეობა აწარმოებს საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას, ნერგავს აღრიცხვის მოწინავე მეთოდებსა და ფორმებს, ადგენს ანგარიშგებას დამტკიცებული ფორმების მიხედვით და წარუდგენს მას შესაბამის ორგანოებს დადგენილ ვადებში.

23. კოლმეურეობა პასუხს არ აგებს კოლმეურნეობის წევრთა ვალდებულებებისა და ვალებისათვის. კოლმეურნეობის წევრები თავიანთი ქონებით პასუხს არ აგებენ კოლმეურნეობის ვალდებულებებისა და ვალებისათვის.

VI. შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება, დაცვა და დისციპლინა

24. კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში ყველა სამუშაო სრულდება კოლმეურნეთა პირადი შრომით.

თუ კოლმეურნეობაში არ არიან შესაბამისი სპეციალისტები ან სასოფლო-სამეურნეო ან სხვა სამუშაოები ვერ შესრულდება საჭირო ვადებში კოლმეურნეთა ძალებით, შეიძლება სამუშაოზე შრომა-მოსამსახურეთა მიღება შრომითი ხელშეკრულებით.

კოლმეურნეობა ზრუნავს საზოგადოებრივ წარმოებაში შრომითი რესურსების სრული და რაც შეიძლება რაციონალური გამოყენებისათვის.

25. კოლმეურნეობაში სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და განრიგს, დასვენების დღეებს, ყოველწლიური ფასიანი შვებულებებს მიიცემს წესს, აგრეთვე საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომისუნარიან კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობის, კოლმეურნეობის წევრებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა სრული ან გადიდებული ოდენობით. ზარალის გადახდევინება წარმოებს სრული ოდენობით იმ შემთხვევებშიც, როცა იგი კოლმეურნეობას მიაყენა მთვრალმა წევრმა.

